



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 49231912

თარიღი:10/07/2023

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის  
თავმჯდომარის შალვა კილაძის შვებულების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 პუნქტების, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის #36 დადგენილების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2014 წლის 15 ივლისის #25 დადგენილების მესამე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შალვა კილაძეს - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, ნება დაერთოს ისარგებლოს 2022 წლის გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულებით, 5 სამუშაო დღე, 2023 წლის 11 ივლისიდან 17 ივლისის ჩათვლით.
2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში მოვალეობის შესრულება დაევალოს ამავდროულად კომისიის წევრს **გიორგი ფაჩუაშვილს**.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს საშვებულებო თანხის გაცემა.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

